პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 288 (18830) პარასკევი, 16 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავეთა მხარდამხარ

ბრიგადული იჯარის სიკეთე

ჩვენი ქარხანა ქალაქის სხვა საწარმოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა. ორი თვეული წელია მას შემდეგ, რაც მან პირველი პროდუქცია გამოუშვა და ახლა გამართულად უდგას მხარში ქალაქის უძველეს საწარმოებს. ქარხნის პროდუქცია — ელექტროხელსაწყოები და სხვადასხვა მოწყობილობა მთელ ჩვენს ქვეყანაში მოსწოლთ მომხმარებლებს. ამან განაპირობა ის, რომ სწრაფად გაზრდილიყო ნაწარმის გამოშვება და გაუმჯობესებულიყო ხარისხი.

ბუნებრივია ასსრ თაობაზე პარტიისა და მთავრობის ცნობილ დადგენილებაში მითითებულია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა გაორკეცდეს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ სიმძლავრეები.

ამ მიზნის მისაღწევად ქარხნის დირექციისა და პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით ერთსულოვნად დაირაზმა საწარმოს მრავალეროვანი კოლექტივი. ქარხანაში, მის საამქროებსა და უბნებში განუხრელად უმჯობესდება მუშათა შრომისა და მატერიალური პირობები. ქარხანაში გახსნილია კეთილმოწყობილი სასადილო, მაღაზია, სამედიცინო პუნქტი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, დღითი დღე მატულობს მუშათა საშუალო თვიური გამომუშავება, რომელმაც უკვე 170 მანეთს მიაღწია. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად თითქმის აღიკვეთა კადრების დენადობა, გაუმჯობესდა დისციპლინა. ჩვენი საწარმო წლების მანძილზე ხშირად გამოდის გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში, თითქმის ყოველწლიურად ჯილდოვდება საპატიო სიგელებით, ფულადი პრემიებით. წლევანდელი წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით მან გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის მონათესავე პროფილის ქარხნებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო 1983 წლის ცხრა თვის გეგმა-ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ახალგაზრდა კომუნისტთა ლენინური კავშირის ცენტრალური კომიტეტის სამადლობელი დაჯილდოვდა.

ქარხანამ წარმატებით გაართვა თავი თავი თერმეტი თვის დავალებას და გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები. გეგმით გათვალისწინებული 7 მილიონ 624 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 7 მილიონ 710 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია 7 მილიონ 963 ათასი მანეთის ნაწარმი, ნაცვლად 7 მილიონ 745 ათასისა. ქარხნის პროდუქცია იგზავნება ქვეყნის არა მარტო დიდ ქალაქებსა და ეკონომიკურ რეგიონებში, არამედ საზღვარგარეთაც. მასზე ყველგან დიდი მოთხოვნაა.

ჩვენს წარმოებაში სულ უფრო ფართოდ ინერგება შრომის ორგანიზაციის ბრიგადული მეთოდი. მისი სარგებლიანობა აქ უკვე აშკარაა. ამიტომაც ჩვენთან 49 ბრიგადა შრომობს აღნიშნული მეთოდით. ეს ძალი კოლექტივის 57 პროცენტია. ჩვენი ამწყობ ზეინკალთა ბრიგადა კომკავშირულ-ახალგაზრდულია, მას რ. ბოლიშვილი ხელმძღვანელობს. ჩვენ ორ წელზე მეტია ვმუშაობთ საბოლოო შედეგების მიხედვით ერთიანი განრიგით. ამ ხნის განმავლობაში ბრიგადა მოწინავეა. ახლმა მეთოდმა გააძლიერა ჩვენი ბრიგადის წევრთა პასუხისმგებლობა, შემცირდა შრომის დანაკარგები, ამაღლდა შრომის ანაზღაურების დონე. ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ საშუალო თვიურმა ხელფასმა 190-200 მანეთის მიაღწია. ყოველი ჩვენგანი ცდილობს უკეთ იმუშაოს. ამიმდინარე წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით ჩვენი ბრიგადა მოწინავეთა რიგებში გავიდა, ფულადი პრემია და გარდამავალი ვიმპელი დაიმსახურა. ბრიგადამ ისევე დიდი გადაჭარბებით შეასრულა ოქტომბრისა და ნოემბრის თვეების დავალებები, ხოლო წლიურ გეგმას 25 დეკემბრისათვის შეასრულებს.

ლ. არძინბა,
რ. გრიგოლაშვილი,
ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ ამწყობ-ზეინკლები, საიჯარო ბრიგადის წევრები.

● **სურათზე:** ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად თავდადებით შრომობენ ახალგაზრდები. ერთი მათგანია ქარხნის საამწყობო საამქროს მემონტაჟე ნატალია თარბა.

ა. სააკოვის ფოტო.

რესპუბლიკის მშრომელები სამშობლოს შეაჯამებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ ახალ შრომით წარმატებებს

წელიწადს აბვირგვინებს დამკვრელური გარჯის ნაყოფი!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ, რომელიც შევიდა ხუთწლედის მესამე წლის დამამთავრებელ ფაზაში, მთლიანად წარმატებით გაართვა თავი თერთმეტი თვის დაძაბულ გეგმებს. დავალებებისა და ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის ძალების დარაზმვამ საშუალება მისცა მთელ რიგ დარგებს არსებითად გაესწროთ შრომითი კალენდრისათვის.

ასეთი შეფასება გაისმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც ეძღვნებოდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის იანვარ-ნოემბრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები.

გაფართოებულ სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები **გ. ა. ანდრონიკაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი.**

სხვადასხვა დარგში სახელმწიფო დავალებების შესრულების შედეგების, წლის დამლევამდე დარჩენილ დროში რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანების შესახებ ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა **ნ. შ. ენდელაძემ, ტ. ვ. ლორთქიფანიძემ, ბ. დ. მახარაშვილმა და ლ. ი. ხაბურზანიამ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

გაფართოებული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ა. ი. ხელეზნიოვი.**

აღინიშნა, რომ იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განახორციელეს სამეურნეო რეგულაციაში შინაგანი რეზერვებისა და დამატებითი რესურსების მოსაქცევად, რათა მკვეთრად გაეღიდებინთ პროდუქციის გამოშვება, სანაგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილია გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 16 ძირითადი მაჩვენებლიდან მეტი წილი მაჩვენებლის მიხედვით. ცალკეულ შემთხვევებში წლიური დავალებანი და ვალდებულებანი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

სამეურნეო საქმიანობის ყველაზე არსებითი შედეგი თერთმეტი თვის მანძილზე არის წარმოების მოცულობის ზრდის დადგენილი ტემპის გადაჭარბება. ამ პერიოდში სასაქონლო პროდუქციის გამოშვება, გასული წლის იანვარ-ნოემბერთან შედარებით, 5,6 პროცენტით გაიზარდა, წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 5 პროცენტის ნაცვლად. ამის შედეგად მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის გეგმები. საქართველოს ინდუსტრიამ სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის თერთმეტი თვის პროგრამა შესაბამისად 102,5 და 101,4 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 230,8 მილიონი მანეთის და რეალიზებულია 124,7 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამავე დროს, აღინიშნეს გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა, მთელმა რიგმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა თავი ვერ გაართვეს გეგმებს. იმ პროდუქციის საერთო თანხამ, რომელიც ვერ გამოუშვეს ჩამორჩენილმა წარმოებებმა, შეადგინა 49 მილიონი მანეთი. ზოგიერთ საწარმოში ჩამორჩენამ ქრონიკული ხასიათი შეიძინა. მაგალითად, სისტემატიურად ვერ ასრულებენ გეგმას ახალდაბის ავეჯის ფაბრიკა, კასპის ცემენტ-შიფერის ქარხანა, მცხეთის საშენ მასალათა კომბინატი, რუსთავის ცემენტის ქარხანა, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი, ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათი“. წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, სამრეწველო წარმოების გეგმებს ვერ ასრულებენ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და საწარმოო გაერთიანება — „ახო-ტი“.

გაანგარიშებები ცხადყოფს, ყველა ჩამორჩენილ საწარმოს რომ განეხორციელებინა დავალებანი, სასაქონლო პროდუქციის გეგმა 103,1 პროცენტით შესრულებოდა, რესპუბლიკაში ფაქტობრივად მიღწეული 102,5 პროცენტის ნაცვლად, ხოლო სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი მიაღწევდა შესაბამისად 106,2 პროცენტს 105,6 პროცენტის ნაცვლად.

წარმოების ზრდის ტემპი გაცილებით სწრაფი იქნებოდა, მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში კორექტივები რომ არ შეეტანათ წინათ დადგენილ დავალებებში. რესპუბლიკის საწარმოთა გეგმები თერთმეტი თვის მანძილზე 266 მილიონი მანეთით შემცირდა.

მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების დავალება. სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის ხვედრითმა წილმა წლისათვის გეგმით გათვალისწინებული 14,2 პროცენტის ნაცვლად უკვე მიაღწია 14,5 პროცენტს. იანვარ-ნოემბრის განმავლობაში გამოშვებულია მილიარდ 358 მილიონი მანეთის სპეციო ხუთკუთხედიანი პროდუქცია, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონეზე 8,5 პროცენტით მეტია.

მაგრამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ყველგან როდი ეთმობა სათანადო ყურადღება. ზამორჩენელთა შორის არიან ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა, ენერგეტიკულურ-ქაღალდის კომბინატი და ზოგიერთი სხვა საწარმო.

გაფართოებულ სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროდუქციის ხარისხის მდგომარეობის გამოსწორება ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი საქმეა. ნაწარმის ხარისხისადმი კონტროლი რესპუბლიკის ყველა შრომითი კოლექტივის ყოველდღიური საზრუნავი უნდა გახდეს.

თერთმეტი თვის მანძილზე რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში აგრეთვე მიღწეულია გარკვეული წარმატებები. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მეცხრეულეთა მიღწევები, რომლებმაც საგეგმო დავალებები შეასრულეს და ზეგეგმითი პროდუქციის წარმოება დაიწყეს. ხორცის დამზადების წლიური გეგმა ყველა კატეგორიის მეურნეობებმა შეასრულეს 87 პროცენტით. იგი დამზადდა 11,1 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

მაგრამ აგროსამრეწველო კომპლექსშიც არის ბევრი არსებითი ნაკლი. მაგალითად, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იქმნება კარტოფილის დამზადებასთან დაკავშირებით. 6 დეკემბრისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 184 ათასი ტონის ნაცვლად დამზადდა მხოლოდ 155,7 ათასი ტონა, რაც 24,3 ათასი ტონით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

გაფართოებულ სხდომაზე განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საჭიროა წლის დამლევამდე დაიფაროს მისი დამდეგიდან დაკლებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ყველა ღონისძიება უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ დეკემბრის დარჩენილ დღეებში გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება, საიმედო საფუძველი ჩაეყაროს მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის კარგ სტარტს.

ხუთწლედის შუაგული წლის ფინიშზე ყოველ შრომითს კოლექტივში უნდა გაძლიერდეს ბრძოლა წლიური დავალების წარმატებით შესრულებისათვის, შრომაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან დარაზმონ ადამიანები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათი შემოქმედებითი აქტიურობის გაზრდას. საჭიროა მწვავედ გავაკრიტიკოთ ნაკლოვანებანი და ამავე დროს ღირსეულად დავიფასოთ საუკეთესო კოლექტივების საქმეები, გავაძლიეროთ ბრძოლა მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის.

ამ ამოცანების გადაწყვეტას არსებითად უნდა შეუწყონ ხელი ამჟამად მიმდინარე საოლქო, საქალაქო და რაიონულმა პარტკონფერენციებმა. კომუნისტები ვალდებული არიან ამ პარტკონფერენციებზე გაბედულად აღძრან თავიანთი რეგიონების საჭიროროტო პრობლემები, ერთად გამონახონ ხარვეზების დაძლევის კონკრეტული გზები. მაგრამ ასეთი კონფერენციები ყველგან როდი მიმდინარეობს მაღალორგანიზაციულ იდეურ-პოლიტიკურ ღონეზე. მაგალითად, სერიოზული შეცდომა დაუშვეს ბორჯომის რაიონული პარტორგანიზაციის კომუნისტებმა, რომლებმაც დუმილით აუარეს გვერდი თავიანთ პარტკონფერენციაზე მეცხოველეობის განვითარების განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემებს, სხვა საკითხებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რაიონის განვითარებისათვის.

შეტევითმა სულისკვეთებამ, ნაკლოვანებებისადმი შეუიარაგებლობამ უნდა განსაზღვროს ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მთელი მუშაობა.

დეკემბერი დამკვრელური შრომის თვეა. საგეგმო დავალებისა და ვალდებულების წარმატებით შესრულებას უნდა დაექვემდებაროს რესპუბლიკის კომუნისტების, შრომელების მთელი მუშაობა, მთელი მეცადინეობა. ეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უპირველესი ამოცანაა. (საქინფორმი).

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ: ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც წართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის საიუბილეო წელს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შეასრულეს წლიური გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

ვადამდე, 14 დეკემბერს შესრულდა სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების გეგმები და დავალებები. გადაჭარბებით შესრულდა ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები. დამზადებულია 5363 ტონა მარცვლეული, 5346 ტონა თამბაქო, 22 ათასი ტონა ხილი და 62 ათასი ტონა ციტრუსი, 102 ათასი ტონა ჩაი. შესრულებულია ხორცის დამზადების გეგმა. დავალებას წარმატებით ასრულებენ ავტონომიური რესპუბლიკის მუშაკებნი. ამოქმედდა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეექვსე ტურბინა, კინდღლის სასათბურე კომბინატის პირველი რიგი, ქალაქ სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი. (საქინფორმი).

თავდადებული შრომა გამარჯვების თავწყაროა

გ. ადლეიბა,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

აფხაზეთის მრეწველობის მუშაკებმა ხუთწლედის შუაგული წლის ფინიშზე დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს — ვადამდე, 14 დეკემბერს შესრულდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი სასაქონლო პროდუქციისა და ნაწარმის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა. წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით დამზადდება 22 მილიონი მანეთის პროდუქცია. ავტონომიური რესპუბლიკის სახლო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის მუშებისა და წარმოების მეთაურების ბრძოლა-ვებას განსაზღვრავს, უწინარეს ყოვლისა, აქ მომუშავე ადამიანების შრომითი უკუგება, თავიანთი ყოველდღიური საქმეებისადმი მათი დამოკიდებულება. მათ კიდევ ერთხელ ცხად ყვეს, რომ იქ, სადაც მტკიცე შრომის და საშემსრულებლო დისციპლინა სუფევს, სადაც ოსტატობა შერწყმულია ინიციატივასთან, სადაც განუხრელად სრულდება წლის დამდეგს მიღებული შემხვედრი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, რაც შეიძლება სრულად თვალისწინებენ შინაგან რეზერვებს, საქმე მუდამ კარგად მიდის.

მაგრამ, საბოლოოდ, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს საწარმოები, სადაც კვლავ ბევრი ნაკლი და გადასაჭრელი პრობლემაა. ამის მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მრეწველობის 15 საწარმო ვერ ასრულებს მასობრივი მოთხოვნის საქონლის მოწოდების საგეგმო ვალებებსა და გამოშვების საასორტიმენტო გეგმას. ყველგან ეფექტიანად როდი იბრძვიან მოწყობილობის მოკდენის, სამუშაო დროის დანაკარგების და წუნის წინააღმდეგ. ზოგან გრძელდება შემცირების მიზნით საგეგმო დავალებათა კორექტირების მავნე პრაქტიკა.

ჯეროვნად ეფასებთ რა პარტიული კომიტეტების, საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდ მეცადინეობას გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულების მიზნით შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის, მომთხოვნელობის გაზრდისა და პარტიული, საბჭოთა, შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, უნდა აღინიშნოს რომ მთლიანად ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა ჯერ არ ყოფილა განვითარების ესოდენ მაღალ დონეზე. ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგების მიხედვით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ორჯერ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ლკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული სასურსათო და ენერგეტიკული პროგრამის განხორციელებისათვის დიდ და რთულ მუშაობაში. ჩვენს ყოველდღიურ საქმეებში დიდმნიშვნელოვანი როლი განკუთვნებოდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ლკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ სამრეწველო საწარმოების კოლექტივები წარმატებით ასრულებენ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახულ რესპუბლიკის ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების ამოცანას. უფრო მეტიც, 1980-1983 წლებში სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი მეათე ხუთწლედის პირველი სამი წლისაგან განსხვავებით 8 პროცენტით აღემატება წარმოების დაგეგმილ დონეს.

დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა შრომის ნაყოფიერების გეგმაზომიერი ამაღლება მეტწილ საწარმოთა მიერ მიღებული იმ კომპლექსური პროგრამების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ მათ რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას. ბოლო სამ წელიწადში ამ მიზნებს შეიდ მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა, რაც თითქმის ორნახევარჯერ აღემატება 1975-1978 წლებში დახარჯულ თანხებს. ამის შედეგად ჩვენი 25 საწარმო, რომელთა პროდუქცია ატესტაციას ექვემდებარება, უშვებს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის 147 დასახელების ნაწარმს. სპეციალ ხუთკუთხედით აღნიშნული ნაწარმის გამოშვება 1980 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა, სასიხარულოა, რომ სასნოლო მოხმარების საქონლის წარმოება სამ წელიწადში 137,4 პროცენტით გაიზარდა. ახალი, 1984 წლის წინ კარგი საქმიანი განწყობილება სუფევს ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების შრომითს კოლექტივებში. (საქინფორმი).

● ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ. ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 22 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ.

● ᲡᲐᲡᲐᲚᲡᲮᲝ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲫᲝᲜᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 137, 4 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ.

● ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ: ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ—5363 ᲢᲝᲜᲐ, ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ —5346, ᲮᲘᲚᲘ—22, 000 ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘ—62 000, ᲩᲐᲘ—102 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ.

ᲫᲘᲔᲑᲐ, ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

სოხუმის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი მნიშვნელოვანი შრომითი წარმატებებით უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქმით ეხმიანება ქვეყნის სასურსათო პროგრამას. მიმდინარე წლის არაბლსაყრელმა ამინდებმა სერიოზული ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, ამან ჩვენგან — გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებისაგან მოითხოვა წარმოების დამატებითი რეზერვების გამონახვა და ნედლეულის დანაკარგების აღმოფხვრა.

ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მიმდინარე წლის გეგმა-დავალება ერთი თვით ადრე, გადაჭარბებით შეასრულა. გამოშვებულია 9 მილიონ 131 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია 11 მილიონ 509 ათასი მანეთის ნაწარმი.

შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები გაიზარდა შესაბამისად 1,8-ჯერ და 2,5-ჯერ. გამოშვებულია მილიონ 400 ათასი ცალი პირობითი ქილით მეტი კონსერვი ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებიც. ჩვენი პროდუქცია უმთავრესად იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, ხაბაროვსკის მხარეში, შორეულ აღმოსავლეთში ხოლო ლეღვის ჯემს და მურაბას საექსპორტოდ ვამზადებთ.

მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია კონსერვების გამოშვების გადიდება ფართო ასორტიმენტით. შედარებისათვის მეტი იქნებოდა, მთლიანად რომ ვასრულებდეთ პროდუქციის დაგეგმილი ასორტიმენტის და უმაღლესი ხარისხის კონსერვების გამოშვების დავალებას. ეს კი ვერ ხერხდება, რადგან დამამზადებელი ორგანიზაციები ჯერ კიდევ მდარე ხარისხის ნედლეულს გვაწვდიან.

კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ნედლეულის ბაზის გაფართოება, მისი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება. ნარჩენები ჩვენს საწარმოში ცოტა როდია — წელიწადში საშუალოდ გროვდება 1000 ტონამდე ვაშლის, ციტრუსების გამონაწნეხები და თუ ზოგ ზაფხულში ეს ნარჩენებიც პირტკაცის საკვებად იგზავნებოდა, ამჟამად მოხმარება პოვა ქარხანაშივე — ჩვენთან უკვე მეორე წელია მუშაობს ხილეული ფხვნილის გადამამუშავებელი ხაზი, ხოლო ციტრუსის დაწნეხვით ვაწარმოებთ სანელებლებს. ამ პროდუქციას ფართოდ იყენებენ საყოფაცხოვრებო მრეწველობაში, შარშან 20 ტონაზე მეტი ხილის ფხვნილი გამოვუშვით და დამატებით 29 ათასი მანეთი მოგება მივიღეთ. ციტრუსის ნარჩენებისაგან გამომუშავებული 315 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ამჟამად დაგეგმილია ეს კიდეც ვაშლის ნარჩენებისაგან ფხვნილის გამოშვება, რაც დამატებით 39 ათას მანეთს მოგვცემს. ციტრუსოვანთა ნაწნეხისაგან გამოვუშვებთ ათ ტონაზე მეტ ფხვნილს, ასევე ვაწარმოებთ დიდი რაოდენობით სანელებლებს. მთლიანად წარმოების უნარჩენოდ მუშაობის დანერგვით 1984 წლისათვის მიღებული ეკონომიკური ეფექტი დამატებით 700 ათას მანეთს გადააჭარბებს. მართალია, წარმოებაში ათსებული ნარჩენების გადამმუშავებელი საცდელი ხაზები ვერ უზრუნველყოფენ ნედლეულის დღენიადაგ მზარდი მოცულობის მთლიანად გამოყენებას, მაგრამ მიმდინარეობს სამუშაოები ამ ხაზების სიმძლავრეების გადიდების მიზნით, კიევის ტექნიკური თბოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან თანამეგობრობითა და დახმარებით.

ამ ახალი ხაზის სიმძლავრე საათში 200 კილოგრამამდე მანანის ფხვნილი იქნება. დაგეგმილია მომავალი წლისათვის ქარხანაში შეიქმნას ციტრუსოვანთა უნარჩენოდ გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალი საამქრო, ეს ღონისძიება საგრძნობლად გაზრდის პროდუქციის გამოშვების მოცულობას.

წლეულს ქარხანამ მიიღო და გადაამუშავა 27 ტონაზე მეტი ეკალა, 15 ტონამდე მწვანე კაკალი, სამწუხაროდ, დღეისათვის ქარხნის ტექნიკური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს სანიტარიულ, ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი ქარხნის რეკონსტრუქციის შესახებ. ამ სამუშაოების დაწყება განზრახულია 1985 წლისთვის. რეკონსტრუქციის შემდეგ ქარხნის მწარმოებლობა გაიზრდება 18-32 მილიონ ბირობით ქილამდე. გათვალისწინებულია აგრეთვე შეიქმნას ბავშვთა კვების პროდუქტების საამქრო, ამ პერსპექტიული გეგმების განხორციელება ჩვენს კოლექტივს შესაძლებლობას მისცემს უფრო გაზარდოს თავისი წვლილი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

ა. ანუა,
სოხუმის საკონსერვო ქარხნის დირექტორი.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

14 დეკემბერს მოსკოვიდან პორტუგალიის კომპარტიის X ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის გემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კ. გუსეევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების სექტორის გამგე ი. ი. ზუევი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ა. ალიევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

* * *

პორტუგალია დელეგაციას დახვდნენ პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრები ს. ვილარიგმი, ჟ. სერა, ა. ველოზუ და პარტიის სხვა ხელმძღვანელები. (საკდესი).

1983 წლის 14 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გიუშვეს დედამიწის მორგეი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს 1514“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა განაგრძობს ციცხალ ორგანიზმებზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის კვლევას, არის სხვადასხვა ბიოლოგიურობიექტებიანი სამეცნიერო-ექსპერიმენტული სისტემები, აგრეთვე რაციონულ-ფიზიკური აპარატურა.

მთელი რიგი გ

წელიწადს აგვირგვინებს დამკვრელური გარჯის ნაყოფი!

რესპუბლიკის მშრომელები საბოლოოს უპატაკებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ ახალ შრომით წარმატებებს

ორიენტირია ნოვაგორთა მილნევა

მეოთხე დღეა, საქართველოს მებადაგეებს ტონობით ზეგეგმითი ხილი მიაქვთ მიმღებ პუნქტებში. ბოლო ათი წლის მანძილზე რესპუბლიკის ბაღებს ასეთი უხვი შემოდგომა არ ჰქონიათ. თანაც მოსავლის მატება ჩვეულებრივად ახი და ათასი ან ათი ათასი ტონით კი არ განიზომება, საერთო მოსავალმა 1970 წლის დონეს 220 ათასი ტონით გადააჭარბა. თქმა არ უნდა, ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის ბაღი გაიზარდა, მაგრამ ამის პირდაპირპროპორციული სულაც არ არის წლევანდელი ზღვა მოსავალი.

მეხილეთა ამეამინდელი გამარჯვება სწორედ იმით არის ღირსსახსოვარი, რომ იგი დიდი ეკაფის, ახლებურად მეურნეობრიობის, მეცნიერთა და მეხილეთა საქმიანი თანამეგობრობის ნაყოფია. ამ მეცადინეობის წყალობაა, რომ წლეულს ხილის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 1975 წლის დონესთან შედარებით 20 ცენტნერით მეტია. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ ჰექტარს წლეულს უკეთ, მეტი გულისყურით მოუვარეს და მოწეული მოსავლიც ნაკლები დანაკარგებით, საიმედოდ დააბინავეს.

ეს სასიკეთო, ნიშანდობლივი მახასიათებლები მეხილეთა საქმიანობისა მოპყვა ბოლო წლებში პარტიისა და მთავრობის მიერ დარგის დაჩქარებული განვითარებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს, ყველგან და ყველაფერში დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობას, იმას, რომ მეხილეებს სტიქიურმა უბედურებამ, რომელმაც ბევრ მიწათმოქმედს წყალში ჩაუყარა მთელი წლის ნაამაგარი და ხარჯი, გული ვერ გაუტეხა შრომისა და თავდადებისათვის. მათ სწორედ შეუპოვარი მეცადინეობით დაიხსნეს თავი გაზაფხულსა და ზაფხულში ბუნების ჭირვეულობისაგან და მოსავლიც შეინარჩუნეს.

მაგრამ საჭირნახულო ლაშქრობის მატიანეში რეკორდულად აღიარებული მეხილეთა წლევანდელი მოსავალი სრულიადაც არ არის ჩვენი მადლიანი მიწისა და გამრჯეკაცის შესაძლებლობების მაქსიმუმი. მიღწეული მიჯნა მხოლოდ იმად უნდა მივიჩნიოთ, რომ რესპუბლიკის მეხილეები უკვე მტკიცედ დაადგნენ სწორ გზას, დარგის ინტენსიფიკაციის გზას, რომელიც მათ უფრო მაღალ მიჯნებს მიაღწევინებს.

ინტენსიფიკაციის გზა ზე მდგარ მეხილეებს კი არ ეპატიებათ, რომ ბაღი მეჩხერი და დაუმუშავებელი ჰქონდეთ, მოკრეფის შემდეგ ხეებზე ნაყოფს მაინც ტოვებდნენ, მთელი ძალით ვერ იყენებდნენ ტექნიკას. ვიდრე ეს ნაკლოვანებანი ნიშანდობლივი იქნება მეხილეთა საქმიანობისათვის, ინტენსიფიკაციის ეფექტი დროის მოთხოვნას ვერ უპასუხებს. არადა, ჯერ კიდევ რამდენი ბაღი გვაქვს მისახედი და მცირემოსავლიანი.

ამ მიზეზს უნდა დავაბრალოთ ის ამბავი, რომ რენტაბელური მეურნეობების გვერდით საკმაოდ არის მეხილეობის ჩამორჩენილი, ნამგებიანი მეურნეობები.

წლევანდელი წარმატება კიდევ უფრო მაღალი მიჯნების მიღწევის საფუძველი უნდა გახდეს — ყველა მებაღემ ორიენტირად უნდა დაისახოს გორის რაიონის ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის მეხილეთა რეკორდი — ჰექტარზე საშუალოდ 208 ცენტნერი.

სურათებზე: გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის № 1 ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ეკ. თვალიაშვილი; კომკავშირელი მეხილე მ. შიუკაშვილი, რომელიც ქარელის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდულ ბრიგადას თავკაცობს; გორის რაიონის ტყვიავის კოლმეურნეობის მოწინავე მეხილე ლ. მამუჩაშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.

ვაშლით დატვირთულმა მისაბმელთანმა „ბელარუსმა“ ხილის პუნქტი გვერდზე მოიტოვა და სოფლის ორღობეებში შეუხვია.

ცოტა არ იყოს, შეეცბუნდი და გაკვირვებით შევხედე მოსაუბრეს — ქარელის რაიონის ფცის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს მ. შავერდაშვილს.

მთავარმა აგრონომმა გაიცინა.

— „მარცხენა რეისი“ არ გეგონოთ, მარჯვენათი მოწეული მოსავალი, ნატურით მიღებული პრემიაა; უგანრიგო ბრიგადებმა, წელს მეურნეობაში რომ შეეკმენით, ლამის სასწაულები მოახდინეს, ზღვად მოასკდა მოსავალი, მეურნეობაც წელში გაიმართა, მეხილეთა გარჯაც ერთიორად დაფასდა.

როცა რაიონის წამყვან საზოგადოებრივ მეურნეობებში ხილის ჰექტარობრივი მოსავლიანობა საშუალოდ 37 ცენტნერს ძლივს აღწევდა, რა უნდა ყოფილიყო ფცის საბჭოთა მეურნეობის წვლილი რაიონის მეხილეთა საერთო საქმეში? გამეჩხერებული ბაღები, აგროტექნიკის დაბალი დონე, უყურადღებოდ მიტოვებული ახალშენი, ხილის კრეფის პერიოდში, მეტი რომ არა ვთქვათ, „გაუთვალისწინებელი დანაკარგები“ წლიდან წლამდე უკან სწევდა მეურნეობის საერთო საქმეს.

დაღმავალი ეკონომიკა მკურნალობას საჭიროებდა, უფრო სწორად, საჭირო იყო ისეთი ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც საშუალებას მისცემდა მეურნეობის ხელმძღვანელებს განმტკიცებინათ წესრიგი და დისციპლინა, ყველაფერი ეღონთ სახელმწიფო ქონების ხელყოფის წინააღმდეგ, ამასთან, გონივრულად მოფიქრებული მატერიალური სტიმულირების ფორმების დანერგვით დაეინტერესებინათ მეურნეობის მშრომელები, უწინარესად კი ისინი, ვინც ზურგი შეაქცია საერთო შრომას და აღმა-დაღმა „მეშაბაშედ“ დახეტიალებდა.

კოლექტიური იჯარა, სწორედ რომ, ესადაგებოდა მეურნეობის ინტერესებს. იჯარის ექსპერიმენტის სახით დანერგვამ მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი დაინტერესა. ამაში ფცელებს დიდად დაეხმარა წლეულს აპრილში მოწვეული გამართული თათბირ-სემინარი, რომელმაც უგანწესო ბრიგადების მუშაობის გამოცდილება განაზოგადა და შესაბამისი რეკომენდაციებიც მიიღო.

გაპიროვნებულ ხილის ფართობებზე მშრომელებმა დიდი სამუშაოები შესრულეს, ხოლო როცა ხილი მსხმოიარობაში შევიდა, ბაღებში პაწია ფიცრულები შეკრეს და ღამითაც იქ რჩებოდნენ, — ვინმე ხელმრუდს არაფერი მოუნდესო.

ამთავითვე უნდა ითქვას, ქარელის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, იმის მიუხედავად, რომ გაზაფხულსა და ზაფხულში ასობით ჰექტარი დაისტაყვა და ნაყოფიც მნიშვნელოვნად დაზიანდა, შესაშური ყურადღებითა და მზრუნველობით იკრიფებოდა ხილი. იგივე ფცის საბჭოთა მეურნეობაში ცენტნერი ხილის რეალიზაციის ფასმა 35,8 მანეთი შეადგინა, მაშინ როცა განვლილი ოთხი წლის მანძილზე საშუალოდ ეს მაჩვენებელი 33 მანეთს არ გასცდენია.

ფცაში ეს-ეს არის ხილის კრეფა დამთავრდა. მეურნეობის ისტორიაში პირველად შესრულდა დიდი გადაჭარბებით ხილის წარმოების სახელმწიფო დავალება. ვფიქრობთ, ამ ციფრებს ინტერესით ჩაუკვირდება მკითხველი. ბოლო ოთხი წლის მანძილზე მეურნეობაში საშუალოდ 1400-მდე ტონა ხილს იღებდნენ, წლეულს წარმოებულია 2667 ტონა ხილი, იგივე ბოლო ოთხი წლის მანძილზე მეურნეობაში, სადაც საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 25,2 ცენტნერს არ გასცდენია, წლეულს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია: საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 74,7 ცენტნერი ხილი.

ამიტომაც იყო, ხმაურით რომ ჩაუქროლა მისაბმელიანმა „ბელარუსმა“ ხილის პუნქტს და მოსახვევში გაუჩინარდა. რვა ტონა ხილი მიჰქონდა მას ქეთევან კობერიძის ოჯახში.

— უგანრიგო ბრიგადის წევრებმა წელს ნატურპრემიის სახით საკმაო ოდენობის ხილი მიიღეს, — მითხრა მ. შავერდაშვილმა, — მეურნეობის ეკონომიკაც განმტკიცდა, მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებიც წელში გაიმართნენ. საიჯარო ბრიგადა დიდი სიკეთე ყოფილა.

ამ სიკეთის შესახებ ყველაზე უკეთ ქარელის რაიონის რუისის საბჭოთა მეურნეობაში უწყიან. სწორედ რუისში მიმართეს პირველად უგანრიგო ბრიგადების მუშაობის გამოცდილებას, შეძლეს ეკონომიკური გაანგარიშებით განეკუთვნეთ ახლო მომავლის პერსპექტივები, უზრუნველეყოთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული და პრაქტიკულად გამართლებული ფორმების უტყუარი სიმტკიცე.

ოქტომბერი იდგა. მზის სხივებით შეფერადებულიყო რუისელთა ბაღები, თუმცა რად უნდოდა მზის სხივები, დახუნძლული ნაყოფი პაწია მზეებივით ეკიდა ტოტებზე. მოსავალს იღებდა რეზო გიგაშვილის უგანრიგო ბრიგადა. ბრიგადის წევრები ოჯახის წევრებთან ერთად გამოსულიყვნენ ხილის კრეფაზე. მახსოვს, მანანა გიგაშვილს გამოვესაუბრე, ბალღებთან ერთად მოსულიყო ბაღში. მანანამ მაშინ მითხრა: ჩვეულებრივ, ბავშვიანი ქალები სამუშაოდ არ გამოდვივართ, ათას რამეს ვიმიზეზებთ ხოლმე, ახლა მოდაშია ჩივილი იმის გამო, რომ სამაგვო ბაღი არა გვაქვს და ბავშვები სად მივიყვანოთო. თურმე სამაგვო ბაღი კი არ ყოფილა მიზეზი, არამედ მატერიალური დაინტერესება. ახლა, როცა უგანრიგო ბრიგადები შეიქმნა, შინ რა გამაჩერებს, ვცდილობ გაპიროვნებულ ფართობებზე უხვი და ხარისხიანი მოსავალი მივიღო. უხვი მოსავალი ხომ გვარიანი პრემია-დანამატიც არის. რაც შეეხება ბავშვებს, პირიქით, მეხმარებიან კიდეც. ამასთან შრომითი ჩვევებიც უყალიბდებათ.

წელს რუისელებმა ხილის ისეთი მოსავალი მოიწიეს, როგორიც აქ არასდროს ყოფილა. რუისის საბჭოთა მეურნეობა 1958 წელს შეიქმნა, ხილის წარმოების გეგმა კი პირველად წლეულს შესრულდა. 5583 ტონა ხილი მოკრიფეს რუისელებმა საგეგმო 4085 ტონის ნაცვლად, ხილის დამზადების დავალებას კი 1000 ტონით გადააჭარბეს.

ასევე პირველად გავიდნენ რუისელები ასეთ მაღალ ჰექტარობრივ მაჩვენებელზე, — 68,3 ცენტნერი საგეგმო 50 ცენტნერის ნაცვლად, ცალკეულ ბრიგადებში საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი კიდევ უფრო მეტი იყო. ვინო უმეკაშვილის მეთე ბრიგადაში ამ მაჩვენებელმა 163,5 ცენტნერს მიაღწია, ალიოშა უმეკაშვილის № 7 ბრიგადაში უფრო მეტს — 215,5 ცენტნერს!

ხახტომი ეკონომიკაში! მხოლოდ ასე თუ უწოდებ ქარელის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში წლევანდელი წლის სიუხვეს, ბარაქასა და დოვლათს. იგივე რუისის საბჭოთა მეურნეობაში უკანასკნელი ოთხი წლის ხუთწლედის შუაგული წლის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებათა უთუოდ შესრულებისათვის ბრძოლაში.

წესრიგი და დისციპლინა სიუხვისათვის ლაშქრობაში ქარელელ მშრომელთა მთავარი მოკავშირე გახდა. ბაღებს მზრუნველი ხელი დაეტყო.

ბუნებამ კიდევ ერთი გამოცდა მოუწყო მეხილეებს, როცა ივნისსა და სექტემბერში ულმობლად დასეტყვა აქაური ბაღები. მოხისსა და ახალოფლის საბჭოთა მეურნეობის ხილის ფართობები ძლიერ დაზიანდა. დიდი ზარალი მოუვიდა ბრეთის, ფცის, დედოფლის, კეხოკვრის საბჭოთა მეურნეობებს, აბისისა და ქარელის კოლმეურნეობებს. მაგრამ ამან ვერ გაუფუჭა გუნება მშრომელებს, სასწრაფოდ განხორციელდა აგროღონისძიებანი მოსავლის გადასარჩენად, დიდ-პატარა ბაღებში გამოვიდა.

ახლა ეს მეხსიერებას თუ შემორჩა. მთავარი საფიქრალი და საზრუნავი ხილის დაბინავება-რეალიზეაა. ამდენი მოსავალი ქარელის მიწაზე ხომ ჯერ არ მიუღიათ.

რაიონის მშრომელებმა წელს პირველად გადააბიჯეს 55-ათასიან მიჯნას. დამზადებულია 55.500 ტონა ხილი, ასევე ამ რეგიონის ისტორიაში პირველად შესრულდა საზოგადოებრივ სექტორში ხილის წარმოების დავალება. 29 ათასი ტონის ნაცვლად მიღებულია 30 ათასი ტონა ხილი. ასევე პირველად საშუალო ჰექტარობრივმა რაიონულმა მაჩვენებელმა მიაღწია საკმაოდ სოლიდურ ციფრს — 53,2 ცენტნერს.

როგორც ხედავთ, წელს სიტყვა „პირველი“ ხშირად ახლავს თან ქარელელ მეხილეთა სანაქებო საქმიანობას.

მერმის?

— მერმისისთვის ამთავითვე ვზრუნავთ, — მეუბნება აგრონომრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ჯ. უნგიაძე, — ხილის ბაღებში კვლავ გუგუნებენ ტრაქტორები, იხვნება ნაჯაფარი ბაღები, შეაქვთ სასუქი. წინათ არასოდეს მოგვიხსავს ამ დროისათვის ამდენი ფართობი, სხვათა შორის — ესეც პირველად.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დალაშქრული მიჯნები

ქარელი მეხილეთა და ხილთა ქებისა

რესპუბლიკაში დამზადებულია 540. 500 ტონა ხილი

ბოდიანავეთა მხარდამხარ

ქართლის რაიონების გამარჯვებულ მეხილეებს თავიანთ ხმას უერთებენ კასპის რაიონის მშრომელებიც. მიმდინარე წელს კასპელებმა შესაშური გარჯით გამოიჩინეს თავი. ჯერ იყო და, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს კურკოვანი ხილის დამზადების დავალება, ახლა კი თესლოვანი, და, საერთოდ, ხილის დამზადების შესრულება უპატაკეს სამშობლოს.

რაიონის მეხილეთა საქმიანობაზე ესაუბრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს პარტიის კასპის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ჯაბანიშვილი.

— დავიწყოთ იმით, რომ უკანასკნელი წლები ჩვენს რაიონში ინტენსიური მეხილეობის სწრაფი განვითარებით ხასიათდებოდა: დაახლოებით 1000 ჰექტარი ხეხილის მსხმოიარე ბაღი სწორედ ამ წლებში შეემატა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ფართობებს.

მაგრამ ფართობების, თუნდაც მსხმოიარე ფართობების ზრდა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოსავლიანობის ზრდას. ხეხილს სჭირდება სარწყავი სისტემა, მინერალური სასუქები, შხამ-ქიმიკატები, ტექნიკა და, ბოლოს, ადამიანები, რომლებმაც უნდა მოუარონ ბაღებს, იღონ და დაამბინაონ მოსავალი. გამოდის, რომ მეხილეობა, ახალგაზრდა ბაღების გაშენებიდან ვიდრე იმავე ბაღებში პირველი მოსავლის აღებამდე, რთული, შრომატევადი და ხანგრძლივი, მოთმენებითა და რუდუნებით აღსავსე პროცესია, რომლის უწყვეტ ჯაჭვში ნებისმიერი რგოლის მნიშვნელობის უგულებელყოფას, საბოლოო ანგარიშით, უარყოფით შედეგებამდე მივყვართ. ჩვენც სწორედ ასე კომპლექსურად ვწყვეტდით ბაღების მოვლის და ხილის მოსავლის უდანაკარგოდ დაბინავების პრობლემას.

როცა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობაში მეხილეობის აღმავლობის ახალ ამოცანებს სახავდნენ, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ დარგის განვითარებისათვის საჭირო მეცნიერულად შემუშავებული რეკომენდაციები.

ამჟამად ინტენსიურ ბაღებს რაიონში 4809 ჰექტარი უკავია, აქედან თესლოვანი 3656 ჰექტარზეა გაშენებული, კურკოვანი — 1151 ჰექტარზე. ხოვლეს, თეძმის, სამთავისის საზოგადოებრივ მეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა კომპლექსები, რომელთა საერთო ფართობი 3540 ჰექტარია. მეხილეობის მომავალი, სრული რწმენით შეიძლება ითქვას, გარანტირებული და საიმედოა.

წლეულს კასპელებმა ბეჯითად იშრომეს და ამ დღეებში კასპის რაიონული პარტიული კონფერენციისათვის ჩვენი მშრომელების ნობათი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებასთან ერთად მეხილეთა გამარჯვებაც გახლდათ. დამზადებულია 30.000 ტონა ხილი საგეგმო 29.400 ტონის ნაცვლად, ხილის დამზადება გრძელდება და უახლოეს დღეებში სახელმწიფოს

ემპავლის ჰორიზონტები

ტაბეგენი, ბავშვიანი ქალები ... ბაღებში ... ბაღებ ... ...

ვეტერანების გამოცდილება და ცოდნა—სამშობლოს

დიდ პატივს სცემს საბჭოთა ხალხი არმიისა და ფლოტის ვეტერანებს. ბრძოლების ქარცეცხლში გამოვლილი, ფრონტული გამოცდილებით დაბრძენებული ვეტერანები ყოველთვის მწყობრში დგანან. ზოგიერთნი შეიარაღებული ძალების რიგებში დღეს-აც განაგრძობენ ახალ თაობათა მეომრების სწავლებასა და აღზრდას, ზოგიერთნი — განამტკიცებენ სამშობლოს ძლიერებას სახალხო მეურნეობაში თავდადებული შრომით. ისინი კი, ვინც დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, კომუნისტური იდეების, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მგზნებარე პროპაგანდისტებად რჩებიან, იწევიან დიდ მუშაობას ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

14 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის შეხვედრა შეიარაღებული ძალების ვეტერანებთან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები — საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. ვ. კულიკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. ი. სავინკინი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, თვალსაჩინო მხედართმთავრები.

ამ დარბაზში, თქვა შეხვედრის გახსნისას ამხანაგმა **დ. თ. უსტინოვმა,** თავი მოიყარეს გამოცდილმა, გამოწრთობილმა მეომრებმა — იმათ, ვინც საყვარელი სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას იცავდა სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან წლებში, ვისაც დღესაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ძლიერებისა და მზადყოფნის ამაღლებაში. აქ არიან ისინიც, ვინც აქტიურად ზრომობს სახალხო მეურნეობაში, განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ და თავდაცვითს პოტენციალს, მონაწილეობს ახალგაზრდობის აღზრდაში, არმიასა და ფლოტში სამსახურისათვის მის მომზადებაში, იწევიან დიდ საზოგადოებრივ მუშაობას.

დიდი კმაყოფილების გრძნობით ვასრულებ საპატიო დავალებას — გადმოგაცემთ თქვენ, ამხანაგო ვეტერანებო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის კომუნისტურ მხედრულ სალამს. იური ვლადიმერის ძე ერთგული ლენინელი, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეა. პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობისათვის მრავალმხრივ, პასუხსაგებ საქმიანობაში იგი შეუნელებელ ყურადღებას უთმობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ ამაღლებას.

იური ვლადიმერის ძე გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. მან გამოთქვა რწმენა, რომ თითოეული თქვენგანი კვლავაც ღირსეულ წვლილს შეტანს სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პარტიის, ხალხის, არმიისა და ფლოტის შესანიშნავი ტრადიციებით შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის, ყველა საბჭოთა ადამიანისა და განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის მუშაობაში.

ჩვენ შევიკრებეთ, რათა მოვითათბიროთ, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთ თქვენი გამოცდილება, რათა ახალგაზრდობას ჩამოვუყალიბოთ საჭირო მორალურ-პოლიტიკური და საბრძოლო თვისებები, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, ზნეობრივი სიმწიფე, ჩავუნერგოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა, მოვალეობის განვითარებული გრძნობა, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნა. ჩვენი საუბარი გულისხმობს დიდ დაინტერესებასა და გულწრფელობას ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესების, შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის მისი მომზადების პრობლემების განხილვაში. ასეთი საუბრისათვის კი ბევრი საკითხი გვაქვს. ვფიქრობ, იგი საინტერესო და სასარგებლო, პარტიულად პრინციპული იქნება.

შეხვედრაზე გამოვიდნენ შორეული აღმოსავლეთის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი და სოციალისტური შრომის გმირი, არმიის გენერალი ი. მ. ტრეტიაკი, საბჭოთა მეურნეობა „აზოვსკის“ დირექტორი, საბჭოთა კავშირის გმირი და სოციალისტური შრომის გმირი, ყოფილი ზემდგომი ვ. ი. გოლოვჩენკო, სამხედრო ინსპექტორი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექტორების ჯგუფის მრჩეველი, საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის მარშალი ს. ი. რუდენკო, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. გორჩაკოვი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ს. ქელტოვი, სსრ კავშირის დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ფლოტის ადმირალი გ. მ. ეგოროვი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის აზიაბადის სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, ყოფილი უფროსი სერჟანტი პ. პ. რეჯეპოვი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის სკოლებთან და სკოლისგარეშე ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი კაპიტანი ნ. ვ. პოპოვი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დიდი სამამულო ომის ისტორიის განყოფილების გამგე, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის პოლკოვნიკი ვ. ი. კლოკოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟურნალ „ნოვი მირის“ მთავარი რედაქტორი, საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის პოლკოვნიკი ვ. ვ. კარპოვი, მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელი, საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი ს. პ. კოზლოვი და სხვები.

თავიანთ გამოსვლებში შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილება, გამოთქვეს მთელი რიგი წინადადებანი და სურვილები სამხედრო სამსახურისათვის წვევამდელთა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების, არმიისა და ფლოტის მეომართა სწავლებისა და აღზრდის სრულყოფის შესახებ.

გამოვიდა ამხანაგი დ. თ. უსტინოვი, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ დადმსწრენი. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა თქვენთან, მამაცი შეიარაღებული ძალების ვეტერანებთან, თქვა მან, მიმდინარეობს პარტიის შესანიშნავი ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით. იგი ლოგიკურად განაგრძობს ამა წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტში პარტიის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებთან გამართულ შეხვედრას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე მკაფიო, შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა. მან აღნიშნა ვეტერანთა დიდი დამსახურება, მაღალი შეფასება მისცა მათს აქტიურ მონაწილეობას პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

იური ვლადიმერის ძემ ზუსტად განსაზღვრა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, პარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებათა შესრულებისათვის ვეტერანთა გამოცდილების გამოყენების ამოცანები და გზები.

საბჭოთა ვეტერანებმა, შეიარაღებული ძალების მეომრებმა, მთელმა ხალხმა სავსებით მოიწონა ეს გამოსვლა. იური ვლადიმერის ძის რჩევა-დარიგებებსა და რეკომენდაციებს მხურვალედ გამოეხმაურნენ იმიტომ, რომ ისინი ორგანულად ახამებენ უფროს თაობათა — სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა სიბრძნეს ახალგაზრდათა ენთუზიაზმთან და შემართებასთან.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის უდიდესი პატივისცემით სარგებლობენ შეიარაღებული ძალების ვეტერანები.

მე რომ მკითხოთ, თქვა შემდეგ დ. თ. უსტინოვმა, რით გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან ისინი, ვისაც სამართლიანად ეუწოდებთ საპატიო სახელს — შეიარაღებული ძალების ვეტერანს, ასე ვიტყოდი: უწინარეს ყოვლისა კომუნისტური ჰარტიისადმი, თავისი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებით, მუდმივი მზადყოფნით დაიცვან საბჭოთა სამშობლო, დაძლიონ ყოველგვარი გაჭირვება და არარად ჩააგდონ სიკვდილი. შეიარაღებული ძალების ვეტერანი საბძოლო გმირობის ადამიანი, საბჭოთა ხალხის მაღალი სულიერი, მორალური ღირებულებების, როგორც მშვიდობის წლებში, ისე ომის მკაცრ წლებში მხედრული შრომის უდიდესი გამოცდილების მატარებელია. ესენი არიან მარშალი და ჯარისკაცი, გენერალი და სერჟანტი, ოფიცერი და პრაპორშიკი, ქვეითი და მეზღვაური, მფრინავი და ტანკისტი, არტილერისტი და მერაკეტი — ყველა მხედრული წოდებისა და პროფესიის ადამიანები.

ჩვენი შეხვედრის საქმიანი, ერთსულოვანი ვითარება, თქვენი გულახდილი გამონთქვამები, თქვა საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. თ. უსტინოვმა, მოწმობს, რომ გამოგვივიდა სასარგებლო, შინაარსიანი საუბარი: როგორ გამოვიყენოთ უკეთ, მეტი უკუგებით თქვენი მდიდარი გამოცდილება ქვეყნის თავდაცვის შემდგომი განმტკიცებისათვის. თქვენ მიერ გამოთქმულ წინადადებებსა და რჩევა-დარიგებებს გავითვალისწინებთ. ისინი დაგვეხმარება ჯარებისა და ფლოტის ძალების მომზადებაში, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში, სამშობლოს დაცვისათვის მათს მომზადებაში. დიდი მადლობა ამისათვის!

შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი შეეხო საბჭოთა ხალხის წარმატებებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ ამაღლდა მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა. იზრდება ორგანიზებულობა, საგებგმო და შრომის დისციპლინა. უფრო მკაფიო გახდა ჩვენი ცხოვრების მთელი რიტმი, ამაღლდა მისი ტონუსი. კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ შეიარაღებული ძალების მეომრებს. მტკიცდება სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

აღმშენებლობითი ამოცანების გადაწყვეტა ჩვენს ხალხს, თქვა ორატორმა, რთულ საგარეო-პოლიტიკურ პირობებში უხდება. თანამედროვე საერთაშორისო ვითარების თავისებურებანი ღრმად და ყოველმხრივ არის გაშუქებული ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებებში.

სოციალიზმის, როგორც საზოგადოებრივი სისტემის, წინააღმდეგ პრეზიდენტ რეიგანის ბიერ გამოცხადებული „ჯვაროსნული ლაშქრობა“ არსებითად არის ამერიკის შეერთებული შტატებისა და მასთან პირშეკრული დასავლეთის ქვეყნების ულტრარეაქციული ძალების არა მარტო იდეოლოგიის, არამედ იმ პოლიტიკის გამოხატულებაც, რომელსაც რეალურად ახორციელებენ. ამ ავანტიურისტულ პოლიტიკას შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელი წრეები პრაქტიკულად ახორციელებენ. ვაშინგტონი ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს დაარღვიოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს, ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შორის არსებული დაახლოებითი სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობა, მოიპოვოს სამხედრო უპირატესობა ჩვენთან შედარებით.

მშვიდობის საქმისათვის მტკიცე საშიშროებას წარმოადგენს ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტების დაწყებული განლაგება. შეიძლება მხოლოდ გააკვირვოს კაცი იმ გულმოდგინებამ, რომლითაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ზოგიერთი პასუხისმგებელი მოღვაწე, ინიღბება რა მითით „საბჭოთა კავშირის მხრივ ომის საფრთხის“ შესახებ, საკუთარი მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ, დაჟინებით ცდილობს თავის „ბოსტანში“ შეათრიოს ამერიკული „პერშინგები“ და ფრთოსანი რაკეტები, თავისი ქვეყნის ტერიტორია გადააქციოს სსრ კავშირის წინააღმდეგ რაკეტულ-ბირთვული ომის პლაცდარმებად. ნუთუ ისტორიამ მათ ვერაფერი ვერ ასწავლა? ორმოცი წლის წინათ ხომ დასავლეთში იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც ასევე ეფიციციებოდნენ აგრესორს. მაშინაც მშვიდობის წინააღმდეგ ძირგამოთხრილ საქმიანობას ანტისაბჭოურობითა და ანტიკომუნიზმით ჩქმალავდნენ. ცნობილია, თუ რით დამთავრდა და რა ფასად დაუჯდა ხალხებს მათი ბეცი პოლიტიკა.

საბჭოთა ხალხს კარგად ახსოვს განვლილი ომის გაკვეთილები და გამოაქვს საჭირო დასკვნები.

შემდეგ ამხანაგმა დ. თ. უსტინოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საპასუხო ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა ხელმძღვანელობა ახორციელებს ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებასთან დაკავშირებით. საბჭოთა ადამიანები, თქვა მან, მთლიანად და სავსებით იწონებენ სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების მიერ თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებებს. ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე და შევინარჩუნოთ მშვიდობა.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, მდგომარეობა მსოფლიოში მეტად დაძაბულია. მაგრამ რაც უნდა რთული იყოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, მისი დრამატიზება არას გვარგებს. როცა ფხიზლად ვაფასებთ ახლანდელი სიტუაციის მთელ სერიოზულობას, უნდა დავინახოთ, რომ იმპერიალიზმი სულაც არ არის ყოვლისშემძლე. და მისი მუქარა არ გვაშინებს. საბჭოთა ხალხს მაგარი ნერვები აქვს. ჩვენ, ძველი თაობის ადამიანებს, ახლანდელზე გაცილებით ძნელი დროც გვინახავს. ჩვენ საკმაო ძალა და საშუალება გვექნება იმისათვის, რომ დავიცვათ საკუთარი ინტერესები, მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესები!

ჩვენი ხალხის რამდენიმე თაობის გმირული დაძაბული შრომით არის შექმნილი მძლავრი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის. შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების მტკიცე მატერიალური ბაზა. ჩვენი არმია და ფლოტი თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე ავიდნენ, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ მეტი საიმედოობით გადაწყვიტონ საბრძოლო ამოცანები.

შემდეგ თავდაცვის მინისტრი შეეხო ამოცანებს, რომლებიც შეიარაღებული ძალების ვეტერანებმა უნდა გადაწყვიტონ. მათი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი უბანია აქტიური და ფართო მონაწილეობა, საბჭოთა ადამიანების სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში. სამხედრო-პატრიოტული აღზრდა პარტიას მიაჩნია კომუნისტური აღზრდის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ ამოცანად. ფართო ფრონტით წარმოებს პარტიის, საბჭოთა ხალხის, შეიარაღებული ძალების გმირული ტრადიციების პროპაგანდა. ეს ტრადიციები უდიდესი სიმდიდრეა. ესტაფეტასავით გადასცემენ მათ უფროსი თაობები უმცროს თაობებს. ფსონია ჩვენი მაღალი მორალური სულისკვეთების მძლავრი წყაროა.

ფრიად საჭიროა, რომ უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდეს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, კომუნისტური იდეალებისათვის მტკიცე მებრძოლთა აღზრდას, რომლებსაც ღრმად ესმით შეგნებული ბრალი პასუხისმგებლობა სოციალისტური სამშობლოს ბედისათვის, მისი თავდაცვისუნარიანობისათვის. როცა ახალგაზრდობასთან ვმუშაობთ, არ უნდა ვიშურებდეთ კეთილ სიტყვას, მამობრივ დახმარებას. უფრო გულუხვად უნდა ვუზიარებდეთ მათ გამოცდილებას. ცხოვრებისეული გამოცდილება, როგორც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა თქვა, თითქოს მფვრევალია, რომლადაც უკეთ ჩანს გადაშლილი ჰორიზონტები.

თითოეულს, ვინც ემზადება სამშობლოს შეიარაღებულ დამცველთა რიგებში სამსახურისათვის, ჯარგად უნდა ესმოდეს თავისი კონსტიტუციური მოვალეობა, ღრმად ჰქონდეს შეგნებული საბჭოთა შეიარაღებული ძალების მაღალი ისტორიული დანიშნულება, მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს არმიისა და ფლოტის გმირული წარსულისა და ახლანდელი სადაგი დღეების, იმ განსაცდელის შესახებ, რომელიც მას შეიძლება ბედმა არგუნოს, თუ აგრესორი გაბედავს და დაარღვევს ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას.

დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას, რომელსაც ვეტერანები ეწევიან, რომ დახმარება გაუწიონ წვევამდელი ასაკის ახალგაზრდობას შეიძინოს პირველდაწყებითი სამხედრო ცოდნა და მხედრული შრომის, სამხედრო სამსახურის ჩვევები, დაეუფლოს სამხედრო-ტექნიკურ სპეციალობებს.

ბევრ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში ჩამოყალიბდა სამხედრო-პატრიოტიული აღზრდის განსაზღვრული სისტემა. დიდი, მრავალმხრივი მუშაობა ხორციელდება, მაგალითად, ვოლგოგრადის ოლქში. მაღალ შეფასებას იმსახურებს ბელორუსიის, უკრაინის, შუა აზიის მთელი რიგი რესპუბლიკების, ამიერკავკასიის ვეტერანების სამხედრო-პატრიოტული მუშაობა.

და მაინც ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის არსებული შესაძლებლობანი სრულად არ არის გამოყენებული. დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობასთან იდეოლოგიურ მუშაობაში არ დაეშვათ ფორმალიზმი.

პარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ყველანაირად ავამაღლოთ ჩვენი პროპაგანდის მებრძოლურობა, მივანიჭოთ სულ უფრო მეტი შეტევითი ხასიათი ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას, ჩავუნერგოთ სამშობლოს დამცველებს სოციალიზმისა და მშვიდობის მტრებისადმი მწვავე კლასობრივი სიძულვილი. სამხედრო-პატრიოტული მუშაობის გაძლიერების ფართო შესაძლებლობებს გვიქმნის ის, რომ გაისად ზეიმით უნდა აღვნიშნოთ დიდი სამამულო ომის ისეთ ოპერაციებში საბჭოთა ჯარების თვალსაჩინო გამარჯვების 40 წლისთავი, როგორც არის ბელორუსიის, იასკო-კიშინიოვისა და სხვა ბრძოლები. 1985 წელს ჩვენ ვიდღესასწაულებთ ვისტულა-ოდერის, ბერლინის ოპერაციებში გამარჯვების 40 წლისთავსა და ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი დიადი გამარჯვების 40 წლისთავს.

შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტს, მის სექციებს, ვეტერან-თანამებრძოლთა საბჭოებს, რომლებიც აერთიანებენ ასაათასობით სულით უბერებელ გმირ ფრონტელს.

ვეტერანების გამოცდილების, ძალებისა და ცოდნის გამოყენების ერთ-ერთი პასუხსაგები უბანია, აღნიშნა მან, არმიისა და ფლოტის ახალგაზრდობასთან მუშაობა. ვინ, თუ არა თქვენ, რომელთა პარტიული, არმიისა და ფლოტში სამსახურის სტაჟი ათობით წელს შეადგენს, მიმართა მან ვეტერანებს, მხედრულად გამოაწრთობს ახალგაზრდა ჯარისკაცებსა და მატროსებს, განუმტკიცებს მათ კომუნისტურ რწმენას, მზადყოფნას, ყოველ წუთს დაიცვან იარაღით ხელში სოციალისტური სამშობლო! ვინ თუ არა თქვენ, რომლებიც უამბობთ მათ თქვენს ძნელ, მშვენიერ მხედრულ სიკვაკუაზე, გულუხვად უზიარებთ გამოცდილებას და უსახავთ ახალგაზრდა მეომრებს მხედრული ოსტატობის მიმავალ მიმავალ ყველაზე სწორ გზას, დაარწმუნებთ, რომ საჭიროა საწესდებო წესრიგის მკაცრი დაცვა, რკინისებური სამხედრო დისციპლინა!

ამ დარბაზში, თქვა შემდეგ ამხანაგმა დ. თ. უსტინოვმა, გვესწრებიან ომის ვეტერანები — შემოქმედებითი კავშირებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩვენ, ძვირფასო ამხანაგებო, როცა მოგმართავთ თქვენ, ვამბობთ, რომ დღეს ვერ წარმოგვიდგენია არმიისა და ფლოტის მეომრების საბრძოლო ცხოვრება და მხედრული შრომა თქვენი აქტიური მონაწილეობის გარეშე, ისეთი მძლავრი იარაღის გარეშე როგორიც არის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები.

სამხედრო-პატრიოტული თემა ამოუწურავია. ბევრი რამ არის სათქმელი სამოქალაქო და მით უმეტეს დიდი სამამულო ომების შესახებ. რაც შეეხება საბჭოთა შეიარაღებული ძალების დღევანდელ ჰეროიკას, მის შესახებ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ძალზე ცოტაა ნათქვამი. თანამედროვე მეომარი ხომ — ჯარისკაცი იქნება თუ ოფიცერი — თავის მამა-პაპათა საბრძოლო დიდების ღირსეული მემკვიდრე, მათი გმირული ტრადიციების გამგრძელებელია.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების აღიარებული ოსტატები და ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდობა უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდება სამხედრო-პატრიოტულ თემას, როგორც მნიშვნელოვან და საარსებოდ აუცილებელ თემას.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვეტერანების საქმიანობა — იმათი, ვინც განაგრძობს სამსახურს არმიასა თუ ფლოტში, ვინც შრომობს კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, იმათი, ვინც დამსახურებულად ისვენებს, — მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებასა და მხარდაჭერას. არმიასა და ფლოტში, თქვა მან, ჩვენ მოქმედების პროგრამად აღვიქვამ ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვის მითითება იმის შესახებ, რომ ყოველდღიურ საქმიანობაში არ უნდა ვივიწყებდეთ ვეტერანებს. ყურადღებიანი დამოკიდებულება მათ მიმართ, პატივისცემა, თანაგრძნობა, დახმარება არის სწორედ ლენინის ანდერძის შესრულება ერთ-ერთი გამოვლინება. ჩვენ ვალდებული ვართ ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ვეტერანები ჩვენი ოჯრის ფონდია, რომ ესენი არიან ადამიანები, რომლებითაც ამაყობს მთელი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. თ. უსტინოვმა ულსურვა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ვეტერანებს ჯანმრთელობა, ბედნიერება, ახალი წარმატებები ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანებმა აღუთქვეს კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ მთელ თავიანთ ძალებს, ცოდნას, გამოცდილებას მოახმარენ სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას, პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების ახალგაზრდა თაობის აღზრდას. (საკდესი).

15 დეკემბერი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლასო ბრძოლა იუწყება

შეწყდეს შეიარაღების ესკალაცია!

პაგუოშის შეხვედრის მონაწილეთა განცხადება

ჟენევა. დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება კონტინენტზე დაძაბულობის სერიოზული გამწვავების მიზეზია და მან შეიძლება გამოიწვიოს გამალებული ბირთვული შეიარაღების შემდგომი ესკალაცია. ასეთ დასკვნას შეიცავს განცხადება, რომელიც აქ გამოქვეყნდა საერთაშორისო პაგუოშის შეხვედრის მუშაობის დამთავრების შემდეგ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 16 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, თვალსაჩინო მეცნიერები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეჩერდეს ეს განლაგება და მის დაწყებამდე არსებული მდგომარეობის დაბრუნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში კვლავ შეიძენდა ძალას საბჭოთა წინადადებანი ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შეიარაღების დაგრში. ეს შექმნის საჭირო პირობებს ბირთვული შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებისათვის, ნათქვამია დოკუმენტში.

სახავენ რა მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება და უფრო სასიკეთო საერთაშორისო კლიმატის შექმნა, განცხადების ავტორები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ბირთვული იარაღის პირველად გამოყენებაზე უარის თქმის მნიშვნელობას და იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირმა იკისრა ასეთი ვალდებულება ცალმხრივი წესით. მეორე მხრივ, ხაზგასმულია დოკუმენტში, „ნატოს ქვეყნების ხელმძღვანელები აშკარად არ არიან მზად დაიკავონ ასეთივე პოზიცია“.

ფოტოფაქტი

მანიფესტაცია თეთრ სახლთან

ვაშინგტონი. თეთრ სახლთან გაიმართა საზოგადოებრიობ ი ს მასობრივი მიტინგი იმასთან დაკავშირებით, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 4.12 დეკემბერს მოეწყო ევროპაში „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების წინააღმდეგ მოქმედების კვირეული.

სურათზე: ბირთვული იარაღისაგან სიკვდილის სიმბოლური სურათი წარმოსახეს ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ მანიფესტაციის მონაწილეებმა.

აპ-საკდესის ფოტო.

● ბულგარეთი

დარბაზობა სოფიაში

სოფია. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ფილიპოვმა მიიღო აქ მყოფი საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მ. მ. ჭაჭია.

განიხილეს საშინაო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში თანამშრომლობის, აგრეთვე საქართველოს ვაჭრობის სამინისტროსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო ვაჭრობისა და მომსახურების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები. მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა, გაამდიდრონ თანამშრომლობის ფორმები.

შეხვედრას დაესწრო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საშინაო ვაჭრობისა და მომსახურების მინისტრი გ. კარამანევი.

● ზრი ლანკა

საგჭოთა კავშირის მრთთვიშრი

კოლომბო. აქ საზეიმოდ გაიხსნა ზრი ლანკაში საბჭოთა კავშირის ერთთვიური. გახსნის ცერემონიაზე „მშვიდობის“ დარბაზში გამოსულისას საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაციის ხელმძღვანელმა ლ. ლ. ზაქაიძემ ილაპარაკა საბჭოთა კავშირის თხუთმეტ თანასწორუფლებიან რესპუბლიკათაგან ერთ-ერთის — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევებზე. ცერემონიის მონაწილენი ერთხმად შეეხვენენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხური ანსამბლის „მთაწმინდის“ გამოსვლას.

● ბოლივია

ითხოვეს გადადგომა

ლაპაზი. ბოლივიის მინისტრთა კაბინეტის წევრებმა რესპუბლიკის პრეზიდენტისა ერნან სილეს სუასოს გაუგზავნეს კოლექტიური თხოვნა გადადგომის შესახებ.

როგორც მათი სახელით პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე ორტის მერკადომ განაცხადა, ეს ნაბიჯი გადადგეს იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს მეთაურს საშუალება მისცენ შექმნას ეროვნული ერთობის ახალი მთავრობა, რომელიც შეძლებს უფრო ეფექტიანად გადაწყვიტოს ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიური პრობლემები.

● არგენტინა

რეორგანიზაციის დეკრეტი

ბუენოს-აირესი. არგენტინის პრეზიდენტმა რაულ ალფონსინმა ხელი მოაწერა დეკრეტს უმაღლესი სამხედრო სარდლობის სტრუქტურის რეორგანიზაციის შესახებ. ამ დოკუმენტის შესაბამისად გაუქმდა ქვეითი ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლების პოსტები. მათს ფუნქციებს შეასრულებენ ქვეყნის შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობის მთავარი შტაბების უფროსები.

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲚᲔᲠᲐᲚᲘ



ტოგარე ბრო 60 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ქურთი ინტელიგენციის მთელი პლეადა აღიზარდა, აყვავდა და ვითარდება ქურთული კულტურა და ხელოვნება.

დიდად პოპულარულია და სიყვარულით სარგებლობს ქურთული საბჭოური ლიტერატურის წარმომადგენელი ტოგარე ბრო (ბროევი), რომელმაც თავისი ცხოვრების 30 წელზე მეტი პოეზიას მიუძღვნა.

მისი პოეტური ხმა პირველად ორმოცდაათიან წლებში გაისმა და დღეს მას კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

1963 წელს მისი ლექსები დაბეჭდა კრებულში „ქურთი საბჭოთა პოეტები“, რომელიც სოხუმში „იპეტრატის“ გამომცემლობამ გამოუშვა. შემდეგ მას წილად ხვდა გამხდარიყო ერთი იმათგანი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ქურთული პოეზიის განვითარებას, ესე იგი ამ საქმის თაოსნები გახდეს.

სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში გაზეთებში, ჟურნალებში, ალმანახებში, კოლექციურ კრებულებში ხშირად იბეჭდება მისი ნაწარმოებები როგორც ორიგინალის ენაზე, ისე რუსულად, ქართულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად თარგმნილი. მათ თავიდანვე მიიპყრეს მკითხველის ყურადღება გულწრფელობით და მოქალაქეობრივი პათოსით.

პოეტის ლექსებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქურთულ პოეზიაში. აი, უკვე რამდენიმე ათწლეულია მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ქურთული საბჭოური ლიტერატურის შემდგომ განვითარებას ემსახურება.

ტოგარე ბროს პოეზიის თემატიკა ვრცელი და მრავალფეროვანია. იგი შთაგონებით უძღვერის სამშობლოს, მგზნებარე, გულიდან ამომავალ პოეტურ სტრიქონებს უძღვნის ლენინის პარტიას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას. მისი პოეზია გამსჭვალულია ამაღლებული პატრიოტიზმით, საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეებისათვის სიამაყის გრძნობით. ეს თვალსათლივ ჩანს კრებულებში „საქართველოს ქურთი პოეტები“, „ახალი გზით“, „წყაროსავით ანკარა შხარე“, „ჩვენი გაზაფხული“, „საქართველოს მზის ქვეშ“, „ალაგირელი პოეტები“, „მეც შენი ღვიძლი შვილი ვარ“, „ხმა გულისა“ და სხვები, რომლებიც თბილისში, ერევანსა და მოსკოვში გამოვიდა.

ტოგარე ბროს მთელ ცხოვრებას, მთელ მის შემოქმედებას წ�d

ტოგარე ბრო

თბილისი

ჩემი გზა შენსკენ მოფრინავს,
გიციქერ და მაინც გნატრულობ...
რა სასწაული ყოფილხარ,
დედაქალაქო, ზღაპრულო!

აწ ცა ვინ გადაგინისლოს,
ბევრჯერ აღსდექი სამარით...
შენ დედა გქვია,
თბილისო,
რუსთაველის და თამარის.

შენს მტკვარს დღეს სულ სხვა
ფერი აქვს,
შენს ბურჯს,
ვახტანგის ნაშენებს,
თბილისო,
ჩემო ფერიავ,
უკვდავი ხალხი გამშვენებს.

შენს დღეს
მზე როგორ არ ვუქო,
მშვენდები
ემაგ ჭაღარით,
მარად ძველო და ახალო,
დავითის ლანდი დაგხარის.

აღარ ემდური ბედ-იღბალს,
ძმის ძმობა
შენებრ ვინ იცის.
მსოფლიოს სწვდება შენი ხმა,—
თბილისა სიტყვა — თბილისი.
ჩემი გზა
შენკენ მოფრინავს,
გიციქერ და მაინც გნატრულობ...
რა სასწაული ყოფილხარ,
დედაქალაქო,
ზღაპრულო!

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲯᲣᲚᲣᲮᲘᲫᲘᲡ თარგმანი.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ: ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲙᲐᲡᲣᲮᲡ?

მთვრალი საჭესთან

ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘᲡ რაიონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას ჰყავს „უაზის“ მარკის ავტომობილი, რომელზეც მძღოლად მუშაობს დ. გუგავა. იგი ადრეთვე შეთავსებით მუშაობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლენტეხის სპეციალურ-სამედიცინო დახმარების ავტომანქანაზე. „უაზის“ მარკის ეს ავტომობილი სისტემატურად იდგა მძღოლის სახლთან, ხოლო როდესაც დ. გუგავა მორიგეობდა სასწრაფო-სამედიცინო ავტომანქანაზე, მაშინ საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური საწყობის გამგე გ. ლიპარტელიანი მიუჯდებოდა ხოლმე საჭეს და საითაც მოესურვებოდა იქით წავიდოდა.

გ. ლიპარტელიანს ავტომანქანის მართვის მოწმობა არ ჰქონდა, მაგრამ საღამოხანს ათმუშავა ავტომობილი და ნთესავებთან ერთად შაქრის საყიდლად წავიდა. გზად სასადილოში კარგად გამოთვრნენ და უკან დაბრუნებისას მთვრალმა გ. ლიპარტელიანმა ავტომანქანა ხევში გადაჩეხა. ერთი მგზავრი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო თვითონ მძღოლი და მეორე მგზავრი დაშავდნენ.

ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კუთვნილი ავტომობილები ღამით სხვადასხვა სოფელში მძღოლთა ეზოებში დგას, არ არსებობს არავითარი კონტროლი ავტომანქანების შენახვისა და ექსპლოატაციისადმი. არც ლენტეხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექცია იბრძვის ჯეროვნად სკოტრანსპორტზე წესრიგის დასამყარებლად.

სწორედ სუსტი საწარმოო დისციპლინის, ავტომანქანების მოვლის, შენახვისა და ექსპლოატაციის წესების უგულებელყოფის ბრალია ეს ავტოავარია.

ბ. ᲚᲔᲚᲐᲫᲔ.

თამაშობენ პრეტენდენტები

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲰᲐᲒᲠᲐᲪᲘ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების — კასპაროვისა და კორჩნოის მეათე პარტიაში კასპაროვი შავებით თამაშობდა. მან ამ მატჩში პირველად მიმართა ლაზიერის გამბიტის ვარიანტს, რომელსაც ერთბაშად სამი მოჰადრაკის: ტარტაკოვერის, მაკოგონოვისა და ბონდარევსკის სახელი ჰქვია.

დიდხანს პარტია შედარებით წყნარი მანევრული ბრძოლით მიმდინარეობდა. კორჩნოის ერთგვარი პოზიციური უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ 27-ე სვლაზე კასპაროვმა ფლანგიდან შეტევა წამოიწყო. ამის სანაცვლოდ თეთრებმა აქტიურად ითამაშეს ცენტრში. კასპაროვმა ორი პაიკი შესწირა, შემდეგ კომბინაციური შეტევით მატერიალური წონასწორობა აღადგინა.

42-ე სვლაზე მდგომარეობის გამარტივების შემდეგ ყაიმი აღინიშნა და ანგარიში გახდა 6:4 კასპაროვის სასარგებლოდ.

ᲓᲣᲑᲜᲐ

ᲛᲝᲰᲐᲒᲠᲐᲪᲘ ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების — ალექსანდრია-ლევიტინას მატჩის მეოთხე დამატებით პარტიაში — ალექსანდრიამ თამაში ლაზიერისწინა პაიკით დაიწყო. დებიუტის შედეგად წარმოიქმნა მწვავე პოზიცია ორმხრივი შესაძლებლობებით. თეორებმა აქტიურად განალაგეს ძალები, მაგრამ შემდეგ უზუსტოდ ითამაშეს. ლევიტინამ ხელთ იგდო ინიციატივა, გამოიყენა მეტოქის მძიმე ცაიტნოტი და 36-ე სვლაზე გაიმარჯვა.

აი როგორ წარიმართა ეს პარტია:

მეთოთხმეტე პარტია ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ-ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ

ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

1. d4 ᲛF6 2. ᲛF3 c5 3. d5 d6 4. Mc3 e6 5. dXe6 ᲙXe6 6. e4 ᲙE7 7. ᲙB5+ ᲙD7 8. a4 0-0 9. 0-0 Mc6 10. h3 Mb4 11. ᲙE1 ᲙXb5 12. MXb5 a6 13. Mc3 d5 14. e5 Me8 15. Me2 d4 16. Mf4 Mc7 17. c3 Mc6 18. cXd4 cXd4 19. ᲚB3 ᲚD7 20. ᲙD2 Me6 21. MXe6 ᲚXe6 22. ᲚD3 ᲙAD8 23. ᲙAD1 ᲙD5 24. ᲙF4 ᲙFD8 25. ᲙE4 ᲚG6 26. ᲙDE1 a5 27. ᲚB3 ᲙB4 28. ᲙD2 ᲙXD2 29. MXD2 Mb4 30. f4 Ლc6 31. Mc4 d3 32. Md6 d2 33. ᲙD1 Კ5Xd6 34. ᲙXb4 ᲙD3 35. ᲙXD2 ᲙXD2 36. ᲙXb7 ᲚG2X

სატურნირო ორბიტა

ᲯᲐᲚᲝᲣᲚᲝᲑᲐ. ლენინგრადში გრძელდება საკავშირო თასის გათამაშება. 60 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის სპორტსმენებს შორის უძლიერესი იყო მაკედონელი მ. სედაევი — 295 კგ. მეორე ადგილზე გამოვიდა გროზნოელი უ. ედელხანოვი — 285, მესამეზე — კემეროვოელი ვ. ზახაროვი — 280 კგ.

ᲰᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ტალინში მიმდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (პირველი ლიგა) 9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში იყვნენ: ᲒᲣᲚᲯᲐ — 5,5 ქულა, კორბუზოვი — 5 (1 გადადებული პარტია), მალანიუკი, ფსახისი, ხარიტონოვი — 5-5, დორფმანი — 4,5 (2), ბალაშოვი, მაკარიჩევი — 4,5-4,5 ქულა (თითო გადადებული პარტია). ე. უბილავა 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. გაიმართა ევროპის ჩემპიონატის მორიგი შერჩევითი მატჩები მესამე და მეოთხე ჯგუფებში. მესამე ჯგუფში მოეწყო. ბოლო შეხვედრა. ბერძნებმა მიიღეს ლუქსემბურგელები და მატჩი მოიგეს ანგარიშით 1:0. აქ პირველი ადგილი მოიპოვეს დანიელებმა — 13 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ინგლისელები — 12 ქულა, ბერძნები — 8, უნგრელები — 7, ლუქსემბურგელები — 0. მეოთხე ჯგუფში უელსისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ამ ჯგუფის ბოლო მატჩი 21 დეკემბერს გაიმართება. იუგოსლავები მიიღებენ ბულგარელებს. ჯერჯერობით გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: უელსი — 7 ქულა, იუგოსლავია — 6, ბულგარეთი — 5, ნორვეგია — 4 ქულა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა 1983-1984 სასწავლო წლის ზამთრის არდადეგები დაიწყება პარასკევს, მიმდინარე წლის 30 დეკემბერს და დამთავრდება ორშაბათს, 1984 წლის 9 იანვარს. სწავლა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში დამთავრდება ხუთშაბათს, 29 დეკემბერს და განახლდება სამშაბათს, 10 იანვარს.

(საქინფორმი).

რედაქტორის მოადგილე ბ. ᲜᲐᲛᲭᲔᲒᲘᲐ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა



ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დამეწიე, ქარო!“ 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენს ოკისპირა ქალაქში“. 10.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მიხა“. 11.10 — „საკონცერტო დარბაზში ბავშვებია“ (მ.). 11.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არსენალის“ ტრადიციები“. 12.25 — კონცერტი. 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლგისპირეთში“. 13.30 — ბიბლიოთეკა. 14.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მისი დიდი ოჯახი“. 14.10 — „აღორძინების ეპოქის ხელოვნება“ (მ.). 14.50 — სატელევიზიო ფილმი-სპექტაკლი „ჟამი ვვითელი ფოთლებისა“. 17.00 — შვეიცარიელთა ფრანგული ენა. 17.30 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმი — „ჯადოქარი წინააღმდეგია“. 17.40 — „მუსიკალური ალბომი“. 18.20 — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“ — „მზე მეგობრების თვალებში“. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 19.35 — „წლიური გეგმა — ვადამდე!“ 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „დღეს ენერგეტიკოსის დღეა“. 21.10 — „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — „მეგობრის პორტრეტი“ — თამაზ მელიავა. 23.45 — „შეხვედრა სიმებიან კვარტეტთან“. 00.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 15.25 — კინონარკვევი — „ვალა“. 15.45 — მხატვრული ფილმი „ჩაიკოვსკი“. მეორე სერია. 17.05 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა. 17.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „დავით გურამიშვილი“. 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზეა“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — „ცეროდენას ეკრანი“. 10.50 — „ბაბაოლიაზე ოიქვა, რა გაკეთდა?“ საუბარი „როგორ ვზრდიდ შრომის ნაყოფიერებას“. 11.30 — „ბავშვთა ეკრანი“ მიმოხილვა. 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 12.30 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან“. 13.40 — უკრავს გ. ქავთარაძე. 14.00 — მოსწავლეთათვის. „ბავშვთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცელებზე. 17.00 —უკანასკნელი ცნობები. 17.15 — გ. ჩლაიძე. ოპერა „დარისპანის გასაჭირის“ ნაწყვეტები. 17.40 — მოსწავლეთათვის. ა. ყაზბეგი, „ნამწყვეტსარის“ მოგონება ნ ი“. 18.00 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 19.00 — დ. კვიცარიძე —„მეგლები მიწას არ ამძიმებენ“. რომანის ნაწყვეტი. 19.15 —მღერის მ. ნაკაშიძე. 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 22.00 კ. ლორთქიფანიძე—„ცაბუნია“. რადიოდგამა. 23.30 — ე. ვილალობოსი. მეოთხე ბრაზილიური ბანიანა. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 8.00 — „ᲗᲣᲗᲘᲡ“ — „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲖᲘ“. 8.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 9.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 9.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 10.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 10.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 11.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 11.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 12.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 12.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 13.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 13.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 14.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 14.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 15.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 15.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 16.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 16.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 17.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 17.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 18.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 18.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 19.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 19.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 20.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 20.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 21.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 21.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 22.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 22.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 23.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 23.30 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“. 24.00 — „ᲛᲝᲡᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — მულტფილმები. 9.45 — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 10.15 — მხატვრული ფილმი „ყინული თბილ ზღვაში“. 11.20 უკრავს ვ. ოვჩინიკოვი (ფორტეპიანო). 11.50 — დოკუმენტური ფილმი. 12.10 — კ. ლისოვსკის კონცერტი. 13.00 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 დოკუმენტური ტელეფილმები. 16.30 — მოსკოვის კომკავშირის საქმენი. 17.15 — ახალი ამბები, 17.20 — ფილმკონცერტი. 17.30 — სტუმრად ზლაპართან. 19.20 — „ყოდნინ. ოთხი წლის შემდეგ“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჩვენი ბაღი. 20.30 — პოკეი, გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. კანადისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. მე-2 და მე-3 პერიოდი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კონცერტი. 23.45 — დღეს მსოფლიოში. 24.00 — ფიგურული ციგურაობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ჩემი პაციენტები“. 9.35 და 10.40 —ისტორია. IV კლასი. 10.00 და 14.35 — ინგლისური ენა. 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.05 — მოსწავლეებს — პურის შესახებ. 11.35 და 12.40 — ისტორია. VII კლასი. 12.05 — თანამედროვე პრობლემის ახალგაზრდა გმირი. 13.10 —ბოტანიკა. IX კლასი. 13.30 — მასწავლებელს — მუსიკის გაკვეთილი. 15.05 — საბჭოური სახვითი ხელოვნება. 15.40 — ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი. 16.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.10 — პოკეი. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — შვეიცის ნაკრები. მე-3 პერიოდი. 19.45 — კანადისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. I პერიოდი. 20.20 — ბალეტის მსახიობთა კონცერტი. 21.00 — „ძალი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — დოკუმენტური ფილმები .22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი. 24.00 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — დოკუმენტური ფილმი „თქვენი

ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დამეწიე, ქარო!“ 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენს ოკისპირა ქალაქში“. 10.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მიხა“. 11.10 — „საკონცერტო დარბაზში ბავშვებია“ (მ.). 11.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არსენალის“ ტრადიციები“. 12.25 — კონცერტი. 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლგისპირეთში“. 13.30 — ბიბლიოგრ. 14.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მისი დიდი ოჯახი“. 14.10 — „აღორძინების ეპოქის ხელოვნება“ (მ.). 14.50 — სატელევიზიო ფილმი-სპექტაკლი „ჟამი ვვითელი ფოთლებისა“. 17.00 — შვეიცარიელთა ფრანგული ენა. 17.30 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმი — „ჯადოქარი წინააღმდეგია“. 17.40 — „მუსიკალური ალბომი“. 18.20 — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“ — „მზე მეგობრების თვალებში“. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 19.35 — „წლიური გეგმა — ვადამდე!“ 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „დღეს ენერგეტიკოსის დღეა“. 21.10 — „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — „მეგობრის პორტრეტი“ — თამაზ მელიავა. 23.45 — „შეხვედრა სიმებიან კვარტეტთან“. 00.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 15.25 — კინონარკვევი „ვალა“. 15.45 — მხატვრული ფილმი „ჩაიკოვსკი“. მეორე სერია. 17.05 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა. 17.50 — „ქართული დოკუმენტური ფილმი „დავით გურამიშვილი“. 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზეა“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲛᲨᲠᲘ“. 10.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲐᲡᲢᲠᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲑᲐᲭᲘᲡᲨᲘ ᲑᲐᲖᲓᲘᲐᲜ“. 10.50 — მხატვრული ფილმი „როგორია ჩვენი წლები“. 11.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲕᲒᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲘ“. 12.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „სიტყვა საგნებზე“. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.00 — „ფილოსოფია და კულტურა“ (მ.). 14.45 — სატელევიზიო ფილმი-სპექტაკლი „მტრები“. 17.05 — ტელეკურსილეთათვის საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.35 — პროგრამა მოსწავლეთათვის. მულტიპლიკაციური ფილმები. „სახლობანა“, „ტყის გუშაგები“. 18.00 — „ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ!“ (მახარაძის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეთა თვითმოქმედება). 18.40 — განცხადებები. 18.45 — „საესტრადო პანორამა“. 19.35 — „წლიური გეგმა — ვადამდე!“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30